



კასპის მუნიციპალიტეტში შპს ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯიას ცემენტის საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილების პროექტის სკრინინგის ანგარიშის განხილვის თაობაზე

გარემოსდაცვითი და სოციალური სამართლიანობისთვის საქართველოში

19 აპრილი, 2024

სკრინინგის ანგარიშის განხილვის პროცედურა

სკრინინგის განცხადების რეგისტრაციიდან არაუადრეს 10 დღისა და არაუგვიანეს 15 დღისა სააგენტო იღებს გადაწყვეტილებას იმის თაობაზე, ექვემდებარება თუ არა დაგეგმილი საქმიანობა გზმ-ს.

2024 წლის 10 აპრილს გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე გამოქვეყნდა [სკრინინგის განცხადება](#) - შპს ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯია "ცემენტის საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილება (საწარმოს წარმადობის გაზრდა და ალტერნატიული საწვავის გამოყენება);" მისამართი შიდა ქართლი/კასპი/ქ.კასპი.

არ გამოქვეყნებულა განცხადება ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე და იმ შესაძლებლობებზე რომელსაც დაინტერესებულ პირს ანიჭებს კანონმდებლობა ამ გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

ბმულზე განთავსებული არ არის რაიმე მიმანიშნებელიც კი იმის თაობაზე, რომ მოცემული პროცედურის გარგლებში სააგენტო იხილავს საზოგადოების მიერ წარმოდგენილ მოსაზრებებსა და შენიშვნებს და შესაბამისი საფუძვლის არსებობის შემთხვევაში ითვალისწინებს მათ სკრინინგის გადაწყვეტილების მიღების პროცესში; არ არის მითითებული გადაწყვეტილების მიმღები ორგანო; ასევე არ არის მითითებული, რომ საზოგადოებას უფლება აქვს, სკრინინგის განცხადების გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალსა და შესაბამისი მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ორგანოს ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე განთავსებიდან 7 დღის ვადაში სააგენტოს წერილობით (ქაღალდზე ან ელექტრონული ფოსტის მეშვეობით) წარუდგინოს მოსაზრებები და შენიშვნები აღნიშნულ განცხადებასთან დაკავშირებით; არ არის მითითებული ფიზიკური და ელექტრონული ფოსტის მისამართი სადაც დაინტერესებულმა პირმა შესაძლოა გააგზავნოს შენიშვნები და კომენტარები; ასევე არ არის, მითითებული რომ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი მოთხოვნის შემთხვევაში უზრუნველყოს სკოპინგის განცხადების ნაბეჭდი ეგზემპლარის ხელმისაწვდომობას.

მხოლოდ პორტალის თავფურცელზე განთავსებული ცხრილიდან (რომლიც სრულად არ ჩანს ეკრანზე) პორტალის მუშაობის პრინციპის მცოდნე პირსათვის შესაძლოა ცნობილი გახდეს, რომ „საზოგადოების მხრიდან შენიშვნების წარმოდგენის ვადაა 19.04.2024. „დეტალური ინფორმაციის“ გრაფაში ღილაკის დაჭერის შემდეგ, ესეც აღარ ჩანს.

თბილისი, 0179, საქართველო
ფალიაშვილის ქ. 39b, IV სართ.
ტელეფონი: (995 32) 222 38 74
ელ. ფოსტა: greenalt@greenalt.org
ვებ-გვერდი: www.greenalt.org

ამ ხარვეზებზე მწვანე ალტერნატივა უკვე დიდი ხანია უთითებს, თუმცა უკვე თითქმის ერთი წელია პორტალი სატესტო რეჟიმში მუშაობს და ჯერაც ვერ მოხერდა კანონით დადგენილი პროცედურის დაცვით ინფორმაციის გამოქვეყნება.

ასეთი წესით გამოქვეყნებული სკრინინგის ანგარიშის განხილვის პროცესი არ შეიძლება ლეგიტიმურად ჩაითვალოს არც ამ და არც სხვა შემთხვევებში.

სკრინინგის ანგარიშის საგანი

პორტალზე გამოქვეყნებული ინფორმაციის თანახმად, განიხილება შპს ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯიას ცემენტის საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილება - საწარმოს წარმადობის გაზრდა და ალტერნატიული საწვავის გამოყენება.

იქვე გამოქვეყნებული სკოპინგის ანგარიშში კი მითითებულია, რომ შპს „ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯიას“ კასპის ცემენტის საწარმოში იგეგმება (RDF)-ის (Refuse-derived fuel, 2015 წლის 17 აგვისტოს N 426 დადგენილებით RDF-ის შესაბამისი კოდია: 19 12 10 საწვავი ნარჩენები (გამოყენებული საწვავი)) ალტერნატიულ საწვავად გამოყენება - თანანსინერაცია კლინკერის გამოწვის დუმელში. RDF-გამოყენება შეამცირებს ქვანახშირის მოხმარებას, მაქსიმალური წარმადობის დროს 30%-ით“.

ასევე, დაგეგმილი საქმიანობის აღწერის ქვეთავში საუბარია მხოლოდ RDF-ის საწვავად გამოყენებაზე. თუმცა იქვე აღნიშნულია, რომ „ RDF- როგორც წესი მიიღება მუნიციპალური ნარჩენების გადამუშავების და გაშრობიდან, ასევე განცალკევებულად შეგროვებული სამრეწველო ნარჩენებიდან. მნიშვნელოვანია აღინიშნოს რომ კასპის ცემენტის საწარმო არ მოახდენა ნარჩენების შრობას ან დახარისხებას, არამედ მიიღებს უკვე მოსახმარად გამზადებულ RDF-ს. ამჟამად საქართველოში არ არსებობს RDF-ის მწარმოებელი ქარხანა. RDF-ის მიწოდების ხაზის დამონტაჟების მოტივია წაახალისოს ქვეყანაში RDF-ის წარმოების ბაზარი“.

ამდენად, გაუგებარია იგეგმება თუ არა წარმადობის გაზრდა და საიდან მოხდება დამონტაჟებული ხაზის მუშაობისათვის RDF-ით უზრუნველყოფა .

ცვლილების ზეგავლენის შეფასება

რამდენადაც ბუნდოვნად არის წარმოდგენილი სკოპინგის საგანი, ამდენადვე არასერიოზულად არის შეფასებული მოსალოდნელი ზემოქმედება. ყველა შესაძლო ტიპის ზემოქმედებაზე, მათ შორის კუმულაციურ ზემოქმედებაზე აღნიშნულია, რომ არ ექნება ადგილი, ვინაიდან ეს (ჯერ არ დაგეგმილი საქმიანობის) ზემოქმედება არიდებული იქნება საწარმო ექსპლუატაციისთვის ცვლილებებამდე გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების პირობების დაცვით.